საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 9 23 02806030

26/09/2023

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ზაზა ლომინაძეს

ბატონო ზაზა,

2023 წლის №6575/4-13/23 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებული აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ 2023 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171[1] (თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა) მუხლით, უფლებამოსილი უწყებების მიერ გამოვლენილ იქნა - 71 სამართალდარღვევა.

ამასთან, 2018-2022 წლებისა და 2023 წლის იანვარ-მარტის ჩათვლით პერიოდში გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია გეცნობათ, 2023 წლის 4 ივლისის №1912815 წერილით.

შენიშვნა: სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზირებული მეთოდოლოგია, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ.

აქედან გამომდინარე, საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს მრავალჯერადად - პირველადი, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშგების სახით.

ამავდროულად, დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზის სტრუქტურული რევიზირებისა და არქიტექტურული განახლება-რეორგანიზაციის პროცესები, რომლის საბოლოო დასრულებამდე, ზღვრული საშუალო სტატისტიკური

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ცდომილების ფარგლებში არსებობს მონაცემთა შემდგომი ცვლილების გარკვეული ალბათობა.

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე